# ივერია

გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 5[illegible] |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბაზითოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი


**გაზეთი „ივერია" პირველის ივლისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან.**

**შინაარსი:** ტფილისი, 6 ივლისი.—ახალი ამბავი.—ცალკე წერილები: მიწის-ძვრა.—დაბა-და-სოფელი: სოფ. კუდაში.—უცხოეთი.—წვრილი ამბები.—გასართობი.—დეპეშა.—საკვანძარო ცნობანი.—საჭირო ცნობანი და განცხადებანი.

**ფელეტონი:** ელენეს დღიური (ნათარგმნი მოთხრობა), ორ-ანისა.

ტფილისი, 6 ივლისი

ჩვენ არა ერთხელ ამ რამდენისამე წლის წინად გამოგვითქვამს ჩვენი გულითადი მწუხარება იმის გამო, რომ სახასო გლეხთა ვენახები მომრიგებელ-მოსამართლეებმა ვაჭრობის საგნად გახადეს და გლეხებს ვალში უყიდიდნენ. ზოგადი კანონები, რომელნიც საქართველოსათვისაც სავალდებულონი არიან, დიდად ეწინააღმდეგებიან ამ ნაირს მოქმედებას, თუ გლეხის ვენახები საკუთარს მიწაზედ არ არიან გაშენებულნი. სახასო, ესე იგი, სახელმწიფო მიწებზედ გაშენებულნი ვენახები, კანონის სიტყვით, შესაძლოა გაისყიდოს თვითონ გლეხის ნებითა, თუ უნებურობითა, მხოლოდ მაშინ, როცა მსყიდველი თვითონ სახელმწიფო გლეხია და იმავე საზოგადოებისა თუ სოფლისა, რომელსაც თვითონ ვენახის პატრონი ეკუთვნის. ამ სახით კანონით აკრძალულია სხვა წოდების კაცმა სყიდვით დაინარჩუნოს სახელმწიფო მიწაზედ გაშენებული ვენახი.

ზედ-მოსევამ და, როგორც ეტყობა, ძლიერ ზედ-მოსევამაც ვაჭრებისამ და ფულის პატრონებისამ ამ ცხადს კანონს შეუშალეს აზრი და სახე. კანონი პირდაპირ აცხადებდა თავის სურვილს და განზრახვასა. აქ რომ ვერას შეუვიდნენ, ერთი სასაცილო გზა იპოვეს კანონის გასამრუდებლად, ანუ უკეთ ვსთქვათ, კანონის გზის ასაქცევად. მოიგონეს, რომ შესაძლოა ვენახი გლეხისა გაიყიდოს მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ მიწა არ დაეკუთვნოს მსყიდველსა და მარტო ვაზი და ყოველივე, რაც მიწაზე ზეზე სდგას, გასასყიდს საგნად გახდეს. ზოგიერთმა მომრიგებელმა მოსამართლემ ეს მოხერხებული ხრიკი ხელზე დაიხვია და დაუწყო სახასო გლეხების სახასო მიწაზედ გაშენებულ ვენახებს ვალში გაყიდვა. ის-კი აღარ წარმოიდგინა, რომ ვენახი მაშინ არის ვენახი, როცა მიწა და ვაზი ერთად არიან განუყოფელად; როცა ერთს განაშორებ მეორისაგან, მაშინ ვენახი ვენახი აღარ არის.

ამ უცნაურს გასყიდვას, რომლის ძალითაც ტყავი რჩებოდა და მხოლოდ მასზედ ამოსული ბეწვი ცალკე იყიდებოდა, რომ ბოლომდე მიჰყოლოდნენ, კიდევ ცოტაოდნად შეღავათი ექმნებოდა გლეხსა. მაგრამ ეს არ მოხდა. რადგანაც ვენახი მხოლოდ მაშინ არის ვენახი, როცა ვაზი და მიწა განუყოფელად არიან და არა ცალკ-ცალკე, ამიტომაც ხსენებულ ხერხით გაყიდული ვაზი მიწას არა ჰშორდებოდა და ამ სახით მარტო ვაზის მსყიდველი მიწის პატრონადაც ჰხდებოდა უსყიდველად და უხარჯოდ. ფულის პატრონები სიხარულით ხელებს იფშვნეტდნენ და იძახოდნენ: „ეს რა კარგი დრო დაგვიდგაო. ჩალის ფასად ვაზსა ვყიდულობთ, იმიტომ-რომ ცარიელი ვაზი მეტადაც არა ჰღირს, და ამით მიწასაც ვეპატრონებითო. მეტი ხეირიდა გინდაო".

ეს ასეთი ხერხიანობა გლეხთა ვენახების გასყიდვაში 1870—1880 წლებში ისეთი ხშირი იყო, რომ გლეხ-კაცობას მტვერი აადინა. ნამეტნავად თელავისა და სიღნაღის მაზრაში ბევრი სხვერპლი შეიწირა ამ ხერხიანობამ და ბევრი ვენახები აესხლიტა გლეხ-კაცობასა. თელავისა და სიღნაღის მოქალაქეებს აუარებელი ვენახები გამოუცლიათ ამ გზით გლეხ-კაცობისაგან. მთავრობის კაცისაგან ადგილობრივი გამოძიება საოცარს რიცხვს ამ ხერხით გაყიდულ ვენახებისას გვაუწყებს*). მაგალითებრ, მარტო სიღნაღის მაზრაში 381 ვენახი ჩაუგდიათ ხელში მოქალაქეებსა და თელავის მაზრაში 224 და სულ მთელს კახეთში-კი 605 ვენახი გასყიდვიათ გლეხთა და თითქმის ეს ამოდენა რიცხვი ვენახებისა ხელიდამ გამოსცლია გლეხ-კაცობას და თელავისა და სიღნაღის მოქალაქეებს დარჩენიათ სანავარდოდ.

ნეტა ვიცოდეთ: როგორ გაუძლვებოდა სამართალი, რომ ეხლა კაცმა უთხრას იმ ვენახების მსყიდველებს: თქვენ, თქვენის ნასყიდობის სიგელის ძალით, გიყიდნიათ მარტო ვაზები ვენახისა და მიწა-კი არა; მაშ ამოთხარეთ თქვენი ვაზები და საიდამაც მოსულხართ, იქ წაბძანდითო, მიწასთან ხელი არა გაქვთო? მეტად საყურადღებო საქმე იქმნებოდა, რომ ერთმა ვინმემ, ან თვითონ სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ მოიწადინოს ამ გზით წამოაყენოს ეს დავიწყებული საქმე და ხერხით გამრუდებული კანონი სამართალს გაასწორებინოს.

*) ნახეთ: Матеріалы для изученія эконом. быта госуд. крестьянъ, т. IV, стр. 225—244 и т. V, стр. 37—62.

## ახალი ამბავი

*** 5 ივლისს, საღამოს თერთმეტს საათზე, მუშტაიდის ახლო, ცხენის რკინი-გზამ ვაგონ-ქვეშ მოიტანა ერთი სოფლელი კაცი და ძალიან მძიმედაც დაასახიჩრა. საქმე ასე მოხდა: ამ ვზას მოჰყვანდა ხალხი, საღამოს მატარებლით ჩამოსული ტფილისში. შვიდი-რვა ვაგონი გაივსო ხალხითა და ვაგზლიდამ გამოემგზავრა მწკრივად, ერთი-ერთმანერთზე მოკიდებული, თითქო ქარავანიაო. ვისაც ქუჩის ერთის მხრიდამ მეორეზე უნდოდა გადასვლა, უთუოდ უნდა მოეცადნა, ვიდრე მთელი ეს ქარავანი არ გაივლიდა. ზოგმა ვერ მოითმინა ამდენი ხანი ლოდნა და მოახერხა გასხლტომა. ამათის მაგალითით წახალისებულმა სოფლელმაც მოინდომა გამხტარიყო, მაგრამ უცებ რელსს წამოჰკრა ფეხი, შევერხდა და ამ დროს ცხენიც დაეტაკა და წააქცია ვაჟი-კაცი. ცხენების გამრეკელმა მალე შეაყენა ვაგონი, მაგრამ მაინც წინა თვლებმა გადაუარეს მოხრუშტულს კაცსა. ვაგონის შუა-გული დააწვა ზევიდამ. ვაგონი გაჩერდა, მოხრუშტული კაცი გაიჭიმა. მივიდა

# ფელეტონი

ელენეს დღიური

(შემდეგი*)

ასე გავატარე რამდენიმე საათი; ბოლოს გადავწყვიტე სახლიდგან გამოსვლა და ავგუსტა დილლარიევს სანახავად წასვლა.

დამინახა თუ არა ავგუსტამ, მომეხვია და სიხარულით წამოიძახა:

— მადლობელი ვარ, რომ მოხვედი და მნახე.

დამიჭირა ხელი, შინ შემიყვანა და ტახტზე ჩამოვსხედით. რამდენიმე სიტყვა ვუთხარით ერთმანერთს, რამდენჯერმე გადავკოცნეთ და ბოლოს ორივენი გავჩუმდით, როგორც ხშირად მოხდება ხოლმე. ავგუსტამ თვალები ძირს დაუშვა და თავი ჩაღუნა. მე შევყურებდი ავგუსტას და უფრო-და-უფრო მეტად ვრწმუნდებოდი, რომ ჩემი უკანასკნელი ფიქრი ავგუსტას შესახებ მართალი უნდა იყოს-მეთქი. ფერმიხდილს სახეზედ ეტყობოდა, რომ ბევრი, ბევრი ღამე გაეტარებინა უძილოდ; გამხდარი ჰქონდა და ალაგ-ალაგ ჩაჰყვითლებოდა. დრო-გამოშვებით ავგუსტას სახე ულიმდებოდა და უბრწყინდებოდა ხოლმე. ეს სიხარული ისე გაუბედავად, ისე მკრთალად დაეტყობოდა ხოლმე, თითქო თითონვე სცხვენიან თავის თავისა, მაგრამ რაღაც ფარული იმედი გულს უფანცქალებს, ცრემლებს უშრობს და პირზედ ღიმილს აჰდევსო.

— ეკკლესიაში იყავი დღეს? მკითხა ავგუსტამ გაუბედავად.

— რაღა თქმა უნდა, რომ ვიქმნებოდი, მაგრამ ისე-კი, რომ არავის უნახივარ.

— მაშ არც შენა ჰნახავდი ვისმე შენს ნაცნობსა. ჩემზედ შენთვის არავის არა უთქვამს-რა?

— არაფერი.

— ძალიან კარგი. ის უფრო უკეთესი იქნება, რომ ჩემი ამბავი ჩემგანვე გაიგო და ვიდრე გამკიცხავდე... ჯერ კარგად...

— შენ გაგკიცხო? შენ, აგრეთი კარგის გულისა, აგრეთი კეთილი? ნუ თუ არის რაიმე ისეთი ცოდვა, რომელიც შენს სინიდისს აწუხებს?

— არ ვიცი... ვიცი მხოლოდ ის, რომ გუშინ მშობელი დედა გარდამეცვალა... რომ იმ დედის გარდა არავინა მყვანდა ქვეყნად და ცაზედ... ვიცი, რომ ეხლა ჩემი ერთად-ერთი ფიქრი დედის გლოვა უნდა იყოს და სხვა ნუგეშს არ უნდა ვეძებდე... და მე-კი, პირ-იქით... ოჰ, დიდად, დიდად დანაშაული ვარ!

— და შენ-კი, პირ-იქით, გიყვარს ვინმე განა,—ვუთხარი ალერსიანის ხმითა.

— როგორ მიმიხვდი?

გავიღიმე

— მაგის მიხვდომას დიდი არა უნდოდა-რა. მაშ ეს არის შენი დანაშაული?

— არა, სიყვარული იქნება დანაშაული არ იყოს, მაგრამ ასეთს დროს... სულ სამი დღეა მას შემდეგ, რაც გავიგე და დავრწმუნდი, რომ ვუყვარვარ... და ამ დარწმუნებამ გამაბედნიერა, გამომაცოცხლა... აი, ჩემი დანაშაული, ჩემი ცოდვა! ვგრძნობ, რომ ბედნიერი ვარ ეხლა, როცა სულ რამდენიმე საათი არ იქნება, რაც მშობელი დედა გამოვიგლოვე და მიწას მივაბარე!.. თუმცა დედაჩემმა...

ცდილობდა რაც შეიძლებოდა, ჩქარა გაემართლებინა თავი.

— დედაჩემმა გარდაცვალებამდე შეიტყო და ის გარემოება, რომ ჩემს ქალს კეთილი და პატიოსანი კაცი ეყოლება პატრონად ჩემს შემდეგ, ისეთი კაცი, რომლის ჩემს ქალთან შეერთებას ოცნებაშიაც ვერ წარმოვიდგენდიო, დიდს იმედს აძლევდა და ანუგეშებდა.

გული მომეშვა და ამომიჯდა; ვსთხოვე, რომ დაწვრილებით ეამბნა ყოველივე თავის ამბავი. არ ვიცი შევიძლებ თუ არა, მეც ისე ვუამბო ჩემს მკითხველებს ავგუსტას ნალაპარაკევი, როგორის სიწრფელით, გრძნობით და გულ-მხურვალებითაც იმან მიამბო... ასე დაიწყო ავგუსტამ:

— მე მსურს მივთხოვდე ექიმს ვალსაბიას; ექიმი ოც-და-თხუთმეტის წლისაა, სამკურნალოს უფროსად არის დანიშნული და სამკურნალოს გარდაც დიდ-ძალი ავადმყოფები ჰყავს. ჩვენმა ძველმა ექიმმა რანიოლიმ დედიჩემის ავადმყოფობის დროს მოიწვია ვალსაბია და უეცრად თვითონ ჩავარდა ლოგინად; ჩვენ ვსთხოვეთ ვალ-საბიას დედიჩემის წამლობა და იმანაც უარი აღარ გვითხრა... ვერ წარმოიდგენთ, როგორ უვლიდა, როგორა ჰპატრონობდა და თავზედ ევლებოდა ექიმი ვალ-საბია დედაჩემს. რასაკვირველია, დედაჩემი კეთილი დედა-კაცი იყო, მშვიდის ხასიათისა და ამითი თუ მოჰხიბლა ექიმი! ექიმი დადიოდა ავადმყოფის სანახავად დღე, საღამოთი, ღამეც-კი, ერთის სიტყვით, ყოველთვის, როცა-კი მოიცლიდა და დროს ჩაიხელებდა. ხშირად მეტყოდა ხოლმე, რომ დედათქვენს როცა ვუყურებ, დედაჩემი მაგონდება და თქვენ კიდევ ჩემს დას მაგონებთ, რომელიც ფლორენციაშია გათხოვილიო... თქვენ ისე კარგადა ჰზრუნავთ თქვენს ავადმყოფ მშობელზე, ისე დასტრიალებთ თავსა, რომ თითქ ის ავადმყოფის მფარველ ანგელოზად იყვეთ გაჩენილიო!.. ღმერთო! განა რა სიკეთე მიმიძღოდა ისეთი მშობლის წინაშე; ჩემს ადგილზედ ყველა ქალი ჩემსავით... მთელი ჩვენი ოჯახი ჩემს ძმას აწევს კისრად და ამიტომ ხშირად სახლში არ იყო, რამდენისამე დღითაც-კი წავიდოდა ხოლმე სადმე თავის საქმეებზედ.. ჩვენ დავრჩებოდით ხოლმე მარტონი,—მე და ექიმი—ვუსხედით დედას და მოველოდით, აი ან ეხლა მოიბრუნებს ავადმყოფი პირსა და ან ეხლაო... ორივენი დაფიქრებულნი ვიყავით ხოლმე: მე ის მაფიქრებდა, რომ ავადმყოფი დედა მეწვა და რაღაც სიყვარულს შევეპყარ და ექიმს ის—რომ მეცნიერება ვერაფერსა ჰშველოდა და ვერ მოერჩინა დედაჩემი... ვსხედით ჩუმად, ჩუმად, პირ-მოჭერილი; დრო-გამოშვებით ჩუმადვე შევხედავდით ხოლმე ერთმანერთს. როცა თვალს თვალში გამიყრიდა ექიმი, ტანში ჟრჟოლა ამიტანდა ხოლმე... არ ვიცოდი, მიყვარდა თუ არა, მაგრამ როცა ის ჩვენსა იყო, მესიამოვნებოდა, მელხინებოდა; გული ამიტოკდებოდა ხოლმე, როცა ზარის წკარუნს გავიგებდი, იმის სიარულს, იმის ხმას... ვითომ იმედი მქონიყოს რისამე? გეფიცები, ელენე, რომ ფიქრად, ფიქრად რა არის, ფიქრადაც-კი ვერ გავიტარებდი!.. ეს უკანასკნელი სამი კვირაა იმედი აღარა გვქონდა ავადმყოფის გამობრუნებისა. არც თვით საცოდავს დედაჩემსა ჰქონდა სიცოცხლის იმედი, ჰგრძნობდა, რომ უნდა გამოსალმებოდა ამ წუთისოფელს... ოთხშაბათს საღამოს,—იმ დღეს, როდესაც შენ ჩვენსა იყავი,—ავადმყოფი გამობრუნდა და სთქვა:

— ვიცი, რომ აღარაფრის იმედი არ უნდა მქონდეს... ვკვდები, მაგრამ რომ იცოდეთ, თუ რა მადლობელი ვარ იმათი, რომელნიც გვერდიდგან

*) იხ. „ივერია" № № 132, 133 134 და 135.

ხალხი, ეწიეს-ეწიეს და ვერ გამოსწიეს. მერე ცხენები გამოუშვეს და ცალის მხრიდამ ასწიეს ვაგონი, რომ სრულებით გადაეგდოთ გზიდამ. საცოდავი კაცი კიდევ ახერხებდა ლაპარაკს—„ჩქარა ასწით, გავიჭყლიტეო“. როგორც იყო, გულ-შეღონებული კაცი გამოიღეს. დიდ-ხანს ასხეს წყალი და ცოტათი მოასულიერეს, მაგრამ მაინც ისევ გული წაუვიდა და ამასთან თავ-პირიდამ სისხლი სდიოდა. თითქმის საათის მეოთხედი გავიდა მანამ ფაეტონს მოუყვანდა პოლიციელი და წაიყვანდა სამკურნალოში.

*** ჩვენს რედაქციას მოუვიდა ავტორისაგან პატარა წიგნი რუსულს ენაზე: შენიშვნები ხევსურეთზე ბ-ნის ნ. ა. ხუდადაშვილისა. ეს წიგნი გადმოუბეჭდია კავკასიის განყოფილებას საიმპერატორო რუსეთის გეოგრაფიულ საზოგადოებისას თავისის მეთოთხმეტე წიგნის პირველ გამოცემიდამ. წიგნი შეიცავს ხევსურეთის გეოგრაფიულ აღწერას და ისტორიულ გამოკვლევას ხევსურთა ჩამომავლობაზე. აგრეთვე აღწერილია ეხლანდელი ყოფა-ცხოვრება, ადათი და მრავალი მხარე საზოგადოებრივის და სამოქალაქო ცხოვრებისა ხევსურეთში. გეოგრაფიული საზოგადოება ურიგოს არ იზამდა, ასე ცოტა არ გამოეცა ეს წიგნი მარტო წევრთა დასარიგებლად, რომ გარეშე პირთაც შესძლებოდათ მისი ყიდვა ხევსურთა ცხოვრების შესასწავლად, რამდენადაც-კი ამ წიგნში მოიპოვება მასალა.

*** კვირას, 5 ივლისს, საკომერციო კლუბის საზაფხულო სადგომში, ვასილიევის ბაღში, ქართულ-სომხური წარმოდგენა იყო დრამატიულ დასის არტისტების მიერ გამართული. ორი ვოდევილი ქართულად წარმოადგინეს და ორი სომხურად. საზოგადოება საკმაოდ ბევრი დაესწრო შედარებით ამავე ბაღში გამართულ ქართულ წარმოდგენებთან, რომელთაც ჰმართავდნენ ვიღაც არა-არტისტები, და არც წარმოდგენას ჩაუვლია ცუდად. ცოცხლად ჩაატარეს „დატრიალდა ჯარა“. ამ ვოდევილში განსაკუთრებით კარგი იყო ბ-ნი ნებიერიძე მსახურის როლში და რჩეულოვის ქალმაც კარგად ჩაატარა მამიდას როლი ამავე ვოდევილში. სომხური ვოდევილები ცოცხლად წარმოადგინეს; სხვათა-შორის თავის ლაზათიანის თამაშობით ყურადღებას იქცევდა სომხების არტისტი ბ-ნი ტერ-დავთიანი. ამიერიდგან, როგორც გავიგეთ, წარმოდგენები ცალ-ცალკე ექმნებათ ქართველებსა და სომხებს გამართული. განზრახვა აქვთ აგრეთვე წარმოდგენების შემდეგ „ტანციობაც“ გამართონ ხოლმე.

*** სამხედრო ოლქის სასამართლოში ამ თთვის ექვს დაიწყეს პოლკოვნიკ მედვედოვსკის საქმის გარჩევა. მედვედოვსკის ჰბრალდება სახელმწიფო ფულის გაფლანგვა. ბრალდებულის დამცველად იქმნება პეტერბურგიდგან მოწვეული ნაფიცი ვექილი ბობრიშჩევ-პუშკინი.

*** კვირას, ივლისის 5-ს, ნაშუადღევის ორს საათზე, ერთის „კაფე-რესტორანის“ წინ, რომელიც არის ღია ისეთს ადგილას, როგორიც გოლოვინის პროსპექტია, კავკავის გზის ფოსტის სადგურის პირდაპირ, გამვლელ-გამომვლელი საზოგადოება არა სასიამოვნო სურათის მნახველი იყო. ერთბაშად „კაფე-რესტორანიდგან“ გამოცვივდნენ ქუჩაში მთვრალები და ასტეხეს ერთი ჩხუბი და აყალ-მაყალი; ჩხუბს ცემა-ტყეპაც მოჰყვა, ასე რომ გამვლელ-გამომვლელნი იძულებულნი იყვნენ ტროტუარი დაეთმოთ მოჩხუბართათვის. საქმე იქამდის მივიდა, რომ ერთმა მთვრალთაგანმა დანა ამოიღო ჯიბიდგან, მაგრამ პოლიციელმა, რომელიც ხმაურობაზე მოვიდა, დროზედ შეაჩერა და გააშველა მოჩხუბარნი.

*** კახეთიდგან, სოფ. ურიათუბნიდგან, ჩვენი კორრესპონდენტი გვატყობინებს, რომ იქ, სადაც თ. ჭავჭავაძიანთ სასაფლაოა, მიცვალებულის თ. დიმიტრი ჭავჭავაძის ანდერძით აშენებენ ახალს ეკკლესიას, რომლისათვისაც გადადებულია ათი-ათასი მანათიო.

*** წელს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, «მწყემსის» სიტყვით, კურსი შეუსრულებია 43 მოწაფეს. ამათგან ტფილისის სემინარიის პირველ კლასში სამმართველო ჰგზავნის 24-ს მოწაფეს.

*** გორის სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებელში, იმავე გაზეთის სიტყვით, წელს კურსი შეუსრულებია 6-ს მოწაფეს. ამათგან ტფილისის სემინარიის პირველს კლასში სასწავლებლის სამმართველო ჰგზავნის 5-ს შეგირდს.

*** „Новое Обозрѣніе“ სწერს, რომ პირველს მთა-წმინდის შესახვევ ქუჩაში, სარაჯოვის სახლებ ქვეშ, მიწის თხრის დროს, მუშებმა იპოვნეს ერთ საჟენ მიწის ქვეშ მშვენივრად შენახული ძველებური სურა სპარსულის ხელოვნებისა. ეს სურა, აჭრელებული სხვადა-სხვა ნახატობით, მუშებს უპოვნიათ საფლავივით გამოთხრილს პატარა ადგილას, სადაც შექუჩული ყოფილიყო კაცის ძვლები.

*** გაზეთი „Новости“ გვატყობინებს შემდეგს: „სახელმწიფო ქონებათა მინისტრს, რომელიც ამ დღეებში გაემგზავრა ყირიმისა და კავკასიის დასავლელად, განზრახვა აქვს დაათვალიეროს კავკასიის სამადნო წყაროები იმ აზრით, რომ შემუშავებულ იქმნას ახალი წესდება შესახებ წყაროების მართვისა და ხმარებისა, რადგან დღემდის იგი წყაროები ზარალის მეტს არაფერს არ აძლევდნენ ხაზინას. მინისტრს თან ახლდებიან ზოგიერთნი პირნი, რომლებსაც კარგად გაუცვნიათ ადგილობრივი გარემოებანი.

## მიწის-ძვრა

შაბათს, ამ თთვის ოთხს, ღამის თერთმეტს საათზე ჩვენ მივიღეთ ოზურგეთიდგან შემდეგი დეპეშა: „დღეს საღამოს მეცხრე საათზე დიდი მიწის-ძვრა იყო და ორს წუთს გასტანა“.

გარდა ამ დეპეშისა ამ გვარივე ამბავი მოგვივიდა შორაპნის და სენაკის მაზრებიდგან. აი რასა გვწერს შორაპნის მაზრიდამ ჩვენი კორრესპონდენტი:

„გუშინ, საღამოს ცხრა საათზე, მიწის-ძვრა იყო ჩვენ სოფელს ნებოძირში (შორაპნის მაზრა). ორის წუთის განმავლობაში დედა-მიწა სამჯერ ზედი-ზედ შეირყა, მხოლოდ მესამედ ისე ღონივრად, რომ დერეფანში მოსიარულე კინაღამ წავიქეცი. ამავე დროს სურამშიაც მომხდარა მიწის-ძვრა.“

მეორე კორრესპონდენტი სოფელ ბოგაშიდგან (სენაკის მაზრა) გვწერს: ივლისის ოთხს საღამოს მიწის-ძვრა მოხდა ბოგაშში, რომელიც მდებარეობს ოთხის ვერსტის სიშორეზე, რკინის გზის სადგურს აბაშაზე. მიწის-ძვრამ გასტანა $4^1/_2$ წამს.

ამავე ამბავს გვწერს სოფელ კვათანიდგან (სენაკის მაზრა) ბ-ნი რ. შომახი; კორრესპონდენტი უამბობს მკითხველებს, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე მიწის-ძვრამ და რამდენი სულ უსაფუძვლო და ტყუილი ხმები გავრცელებულა ხალხში. მოგვყავს ეს წერილიც:

„...თავზედ ხელი აგვაღებინა ოთხ ამ თთვეს მომხდარმა მიწის-ძვრამ. გზივართ, ბატონო, კერას ახლო სავახშმოდ; ასე იქნებოდა მეათე საათი, როცა უცბად დაიწყო სახლმა წანწალი. ვიფიქრეთ ამოვარდა სწორედ ქარიშხალიო, მაგრამ შენის მტერისას მაგისთანა ქარიშხალი: თურმე მიწა ინძრევა აქეთ-იქით და ჩვენც მასთან. თავ-ზარ დაცემულები გამოვცვივდით გარედ, მაგრამ შიშისაგან ფეხზედ კარგად ვერა ვსდგებოდით. შევხედეთ ცას, მიწას, აღმოსავლეთ-დასავლეთს და ბუნება უცბად დაწყნარდა. გარდავისახეთ პირჯვარი და ეს მოვლენა ერთ-ხმით მივაწერეთ ჩვენს ცოდვებს. უკვლიავე ეს მოხდა ნახევარ წუთის განმავლობაში. ეხლა გვინდოდა შეგვეტყო: გაიგეს სხვებმაც ეს ამბავი თუ არა; გაუგიათ-კი არა, მთელი სოფელი ფეხზედ დგას: მოისმის კივილი, ჩხუბის მგზავსი ხმაურობა, ძაღლის ყეფა, ქალის კივილი. სოფლის შარა-გზები კაცით და ქალით ავსილა. ზოგიერთ ოჯახში მირბიან და წყალსა ასხმენ გულ-წასულს დედას, რომელიც დამღეროდა თურმე თავის შვილს „ნანინას“ და რომელსაც უცბად აკვანი წაჰქცეოდა. შარაზედ შეკრებილმა ხალხმა არ იცოდა, თუ რა ექმნა და ვისთვის ეკითხა, თუ რა მოასწავებს ეს მოვლენა. ბოლოს მიჰმართეს მღვდელს, მაგრამ მღვდელი უარესს მდგომარეობაში ნახეს. ყოველ მხრიდგან მოისმოდა: «აწ მოჰყვება ამას, ბატონო, ქვეყნის დაქცევა». ერთ-ხმით არჩიეს ეკკლესიაში წასვლა და ღვთის ვედრება; იქ ბევრს ხანს ილოცეს. მერე კიდევ ვერ მოისვენეს და გაგზავნეს კაცი ახლო მდებარე ს. აბაშას: უნდა შეეტყოთ რა ამბავია. ჩვენი დესპანი ცოტა ხუმარა კაცი იყო და შემდეგი სიტყვები მოგვახსენა: „გაიაფდა აბაშაში საინები და ჭიქებიო“. ხალხმა პირჯვარი

---

არა მშორდებოდნენ, მიელიდნენ, თავზე დამტრიალებდნენ,—ორივეს ხელი გამოგვართვა და დაუმატა:

— ძალიან, ძალიან კეთილის გულისანი ჰყოფილხართო...

იმ ღამეს ჰუმბერტომ გვითხრა, რომ მე შინ აღარ წავალ, მეშინიან, ვაი თუ ავადმყოფს გაუჭირდეს, მეორე ოთახში დავრჩებიო, და დარჩა. დედა მოსვენებული იყო და გარიჟრაჟისას ჩაეძინა კიდეც. მე ვუთხარი ჰუმბერტოს: „გმადლობთ, ექიმო; ახლა-კი წადით, მოისვენეთ“-მეთქი. თითქოს დამიჯერაო, კარებისაკენ წავიდა, მაგრამ უეცრად კარებთან შედგა; მე ქუდი მივაწოდე,—არ გამომართვა, თითქო რიღასიც თქმა უნდა, მაგრამ არ იცის როგორ დაიწყოსო: წამოწითლდა! მეც ერთს ალაგას ვიდექი გაქვავებულსავით და ექიმის ქუდი ხელში მეჭირა. ჰუმბერტომ ხელსახოცით შუბლი მოიწმინდა და სთქვა:

— რა გგონიათ, დედათქვენს პატიოსან კაცად მივაჩნივარ?—თვალები შევაშტერე: რას ამბობთ, მაშ რად უნდა მიაჩნდეთ ცუდ კაცად, როცა... სიტყვა აღარ დამათავებინა:—მაშ თქვენის აზრით, საბუთი რომ მოვთხოვო, დამტკიცება... რომ ნდობა აქვს ჩემი და პატიოსან კაცად მივაჩნივარ, უარს არ მეტყვის?—დარწმუნებული ვარ, რომ არაფრის უარს არ გეტყვით.. ხოლო დედაჩემი ეხლა ისეთს მდგომარეობაშია, რა შეუძლიან... ამაზედ პასუხი არ მომცა და კვლავ დაიწყო:—თქვენა, სინიორინა ავგუსტა, თქვენ როგორის-ღა თვალით მიყურებთ? ღმერთო, რა ტანჯვაში ვიყავ! აღარაფერი მესმოდა-რა... არა, მგონი, მესმოდა, მაგრამ ეშიშობდი-კი, ვაი თუ ვცდები-მეთქი.—მე ისე-კი არ გეკითხებით, განაგრძო ჰუმბერტომ, — როგორც ექიმი, არამედ როგორც კაციო.—ოჰ, ექიმო, რას აქნევთ იმისთანა უბრალო ქალის აზრს, როგორიც მე ვარ...—საჭიროა ჩემთვის, ძალიან საჭიროაო, მიპასუხა და მერე თითქო ეჩვობსო, დაუმატა: გაკვირვებსთ განა ჩემი ლაპარაკი? საკვირველიც არის: ცუდის აზრისაც რომ იყოთ ჩემზე, განა მეტყვით? რაღა თქმა უნდა, რომ არა.—აქ-კი თავი ველარ შევიმაგრე, გული ამომევსო და დავიძახე, ნეტა ვიცოდე, რას მაწვალებთ? საიდგან მოგივიდათ აზრად, ვითომ თქვენზე ცუდსა ვფიქრობდე? ეგ რომ აგრე იყოს, მაშინ ხომ მე საზიზღარი, თქვენის პატივისცემის ულირსი ვიქმნებოდი-მეთქი... ჰუმბერტოს, რომელიც ყოველთვის ისე მოღრუბლულია ხოლმე, სახე გაეშალა და სიამოვნება დაეტყო.—თუ-კი მართლა აგრეაო, — სთქვა—გაიღვიძებს თუ არა დედათქვენი, მიველ და ვსთხოვ, რომ დაგვლოცოს, და თუ დედათქვენი დათანხმდა, თქვენა, ავგუსტა, უარს არ მეტყვითო?... ოჰ, საყვარელო ელენე, რომ იცოდე, რა წუთები გამოვიარე! ნუ თუ შესაძლებელია-მეთქი, ვეკითხებოდი ჩემს თავს. სიზმარში ვარ, თუ ებოდავ? ის კაცი მირთავს, რომელიც ისე თავს ევლებოდა, ისე უვლიდა ჩემს მშობელს და რომელიც მასთან მეც მიყვარდა... რამდენი ქალი სიამოვნებით დათანხმდებოდა, რომ იმის სახელი ეტარებინა! და იმან-კი მე ამომირჩია, მე, უმნიშვნელო, საცოდავი, რომელიც ვერც დიდის სილამაზით დავიკვეხნიდი და ვერც დიდის ჭკუით. სიტყვის თქმა აღარ შემეძლო, ენა ველარ დაეძრა; ალბად თვალებზე შემატყო ჰუმბერტომ, რომ ბედნიერი ვიყავ, რადგან მაგრად მომხვია ხელები და ნელის ხმით მითხრა: მაშ პირობას მაძლევ, თანახმა ხარ? მინდოდა მეთქვა—ჰო-მეთქი, მაგრამ ენა მაინც კიდევ ვერ ავალაპარაკე და მხოლოდ თავი დავუქნიე თანხმობის ნიშნად.—გიყვარვარო?—მკითხა ჰუმბერტომ.—აქ-კი ხმა ამოვიღე და ვუპასუხე: ძალიან, ძალიან მიყვარხარ-მეთქი... შემდეგ... წარმოიდგინე, წარმოიდგინე, თუ როგორ ესიამოვნა, როცა დედაჩემმა გაიგო ეს ამბავი, როგორის ალტაცებით დაგვლოცა... იქნება ასეთი სიხარული ძალიან ძნელი ასატანი იყო იმისთვის, იქნება სიცოცხლე მოუსწრაფა კიდეც ამ ბედნიერებამ, მაგრამ სულის დალევამდე გონება არ დაუკარგავს... თვალები უბნელდებოდა, ტუჩები გაუცივდა, რომ ისევ ჰუმბერტოს მადლობას უხდიდა და მე მახსენებდა... ოჰ, მშობელი, ჩემი საყვარელი მშობელი!

ავგუსტამ ხელები მომხვია და მდუღარება ჩამოაბნია,—მწუხარების ცრემლი იყო ეს ცრემლი, თუ ბედნიერებისა? რა საიდუმლოა მთელი ჩვენი სიცოცხლე; ორი ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგი გრძნობა ერთსა და იმავე დროს როგორ ავვალელვებს ხოლმე! ავგუსტა მწუხარეც იყო და მოხარულიც, იმის სახეს მწუხარების ნიშანიცა ჰქონდა დაჭდეული და სიხარულისაცა, ორივე ერთად... მე ვარწმუნებდი, რომ ტყუილად უსაყვედურებ შენს თავს, ღმერთმა მწუხარების დროს ნუგეში გამოგიგზავნა და შენც წინ არ უნდა აღუდგე ღვთის სურვილსა და ბრძანებასა-მეთქი... მაგრამ ჩემმა სიტყვებმა უბრალოდ ჩაიარეს. ფიქრში გამიარა: საკვირველია, იმიტომ მოვედ, რომ ნუგეში მეცა და ნუგეშის მაგიერ გათხოვება მივულოცე-მეთქი.

ავგუსტამ თავის საქმროს სურათი მაჩვენა; ჰუმბერტო ლამაზი კაცია და მხიარული, ჭკვიანი სახე აქვს.

— როდის აპირობთ ქორწილს! ვკითხე მე.

— ექვსის თთვის შემდეგ,—მიპასუხა ავგუსტამ.—მე მინდოდა ერთი წელიწადი მაინც არის მეგლოვნა დედის გარდაცვალება, მაგრამ ჰუმბერტო ჩქარობს და ჩემს ძმასაც იმის მხარე უჭირავს... ძალიანა მწყინს, რომ შენ აქ არ იქნები და ჩვენს ჯვარ-წერას არ დაესწრობი!

— ტფილისიდამ მოგილოცავ-მეთქი,—ვუთხარ მე და გამოვეთხოვე.

ცხოვრება საიდუმლოა, საიდუმლოვეა ადამიანის გულიც, ხოლო უფრო დიდი, უფრო ღრმა. გამოვეთხოვე ავგუსტას და მიხაროდა, რომ ბედნიერდებოდა; ხოლო გზაზედ გული გამომეცვალა, თითქოს ისე აღარ ვიყავ მოხარული ავგუსტას გაბედნიერების გამო. ნუ თუ მარტო ავგუსტაა მაგისთანა ბედნიერების ღირსი?-მეთქი, ვეკითხებოდი ჩემს თავს: არა, მარტო ეგ არა, კიდევ ბევრნი არიან სხვანიც. მაშ მარტო ეგ რად გაბედნიერდა?.. მე თვითონ მცხვენოდა, რომ შურმა ამიტანა, თუმცა შურს არ ვეძახოდი ასეთს გრძნობას. ფიქრები ამერია, დარდები ამეშალა და ცუდს გუნებაზედ დამაყენა.

სადილზედ გაბუტულივით ვიჯექი, არავისათვის ხმა არ გამიცია; რასაც იტყოდნენ, ასე მეგონა, ყველაფერს ჩემზედა ლაპარაკობენ-მეთქი... ახლა იმან გამირბინა თავში, რომ ჩემი აქედგან წასვლა საქართველოში ძალიან უნდა უხაროდეს ჯულია სერენისა მეთქი,—მართლაც შევხედე და ჯულია იღიმებოდა. არა, რა მეტოქე ვარ ჯულიასი; მე მხოლოდ მოწამე ვარ იმისი, თუ როგორის ხერხიანობითა და ხრიკებითა ცდილობს ჯულია საბრალო პროფესორის ხელში ჩაგდებას. თვით პროფესორი-კი... ოჰ, კაცები! რაც უნდა კარგი და პატიოსანი კაცი დამისახელოთ, შეუძლებელია, რომ თავ-მოყვარე არ იყოს. ქებითა და კეკლუცობით ჯულია თავის სურვილს მიაღწევს... ვერდანიმ მხოლოდ ზრდილობიანად და თავაზიანად გამომიცხადა: ძალიან მეწყინა, რომ ძმისაგან წერილი მიგიღიათ და უეჭველად მოგიხდებათ წასვლაო. ეს იყო და ეს. სამაგიეროდ სინიორა ჩელესტამ ბევრი იტირა, ბევრი ცრემლი დაღვარა ჩემის წასვლის გამოისობით.

ღმერთო, რამდენი დავწერე. ღამის სამი საათია, დროა გავათავო.

ორ-ანი

(შემდეგი იქნება)

გარდისას. მე, რამდენადაც შემეძლო, მინდოდა ამეხსნა ამისთანა მოვლენის მიზეზი და დამეჯერებინა, რომ ჩვენი ცოდვები არაფერ შუაშია, მაგრამ „სადაური სადაო“: ხალხმა კინაღამ კიჟანი ამიტეხა. გასაკვირველიც არ არის, რადგანაც მიწისძვრა ისეთს დროს მოხდა, როცა გავრცელებულია დაუჯერებელი და საოცარი ხმები. ჩვეულებრივი ლაპარაკი გლეხების მოსავალს, ყანებს შეეხება, მაგრამ ვის ახსოვს ისინი. ამ ხანებში სოფელი სულ იმის ლაპარაკშაა, რომ უნდა მოველოდეთ მიწის-ძვრას და მზის დაბნელებასა, რომელიც ვითომ სამს დღეს გასტანს; ენკენისთვეში მოელიან საშინელს ქარს, რომელიც ვითომ სამს ფუთიანს ქვას ასწევს (ზოგან შვიდ ფუთიანსო); ბოლოს, გიორგობისთვეში, ამბობენ, მოელება ბოლო ქვეყანასა და დედამიწა ქვეშკნელს წავაო. კიდევ ამბობენ, დავითი და კონსტანტინე (მოწამეთში) გაქცეულანო. მოდი და ეხლა წინააღმდეგობა გაუწიე ამ გვარ ცრუ-მორწმუნებათა და დაუჯერე ხალხი, რომ მშვიდობით და უშიშრად იყვნენ, როცა ისინიც-კი, ვინც ვალდებულნი არიან ცრუ-მორწმუნებას ებრძოლონ, თვითონვე ავრცელებენ ყოველ გვარს სიცრუეს. ოთხის ივლისის მიწის-ძვრა სხვა მოვლენათა წინა-მორბედად მიაჩნია ხალხს, რომელიც საშინელს სასო-წარკვეთილებას მისცემია (მეტადრე ქალები).

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. კულაში.** 4 ივლისს. კვირას, 28 ივნისს, სოფ. კულაშში, სასწავლებლის დარბაზში, ქართულ გალობის მოყვარეთაგან გამართულ იქმნა კონცერტი ბ-ნ ქორიძის ლოტბარობით. მთელი დასი იყო შემდგარი მხოლოდ შვიდ მგალობელთაგან. კონცერტი განიყოფებოდა ორს ნაწილად: პირველს შეადგენდა ექვსი რუსული სიმღერა; ამათთაგან ორი თვით ბ-ნმა ქორიძემ იმღერა და დანარჩენი ოთხი-კი ხორომ მისისავე ლოტბარობით. მარტოდ სიმღერის დროს, ბ-ნმა ქორიძემ დიდი ხელოვნება გამოიჩინა, როგორც გამოცდილმა მომღერალმა და მდიდარის ხმის მქონებელმა. მეორე ნაწილი კონცერტისა შესდგებოდა ექვსის ქართულ სიმღერათაგან, რომელნიც თვით ბ-ნ ქორიძისაგან არიან გადაღებულნი ნოტებზე. საქმე ის არის, რომ პატივცემულს ბ-ნ ქორიძეს საგნად უთუოდ ის უნდა ჰქონდეს, რომ სოფლებში კონცერტების გამართვით საზოგადოებას გააცნოს და შეაყვაროს ქართული გალობა, დაანახვოს და დაუმტკიცოს ქართულ სიმღერების ღირსება. ჩვენის ფიქრით, ბ-ნი ქორიძე მხოლოდ ამ საგანს უნდა მისდევდეს სოფლებში კონცერტის გამართვით, რადგან თვითონაც ძლიერ კარგად იცის, რომ სოფელში გამართული კონცერტი ჯერ-ჯერობით ხარჯსაც ვერ აღადგენს, არამც თუ მის შრომის ფასს და სასყიდელს. ბ-ნმა ქორიძემ ახალს საქმეს მოჰკიდა ხელი და ახალი საქმე-კი, ჩვენდა სამწუხაროდ, საზოგადოებას ერთბაშად ვერ მიიზიდავს. რაიცა შეეხება თვით კონცერტს, უნდა მოგახსენოთ, რომ ხელოვნურად და ძლიერ კარგად ჩაიარა: „ხელხვავმა“ და „ფაცხამ“ აღტაცებაში მოიყვანეს მთელი იქ დამსწრე საზოგადოება და „ბისის“ ძახილს ბოლო აღარა ჰქონდა, თუმცა კონცერტს საქველმოქმედო დანიშნულებაც ჰქონდა, ესე იგი ერთი ნაწილი შემოსავლისა სასწავლებლის სასარგებლოდ უნდა მოეხმარათ. მაინც სამწუხაროდ, კულაშელები ნაკლებად დაესწრნენ კონცერტს, შეიძლება, ცუდის ტაროსის გამო. მაგრამ ერთი გარემოება ნებას გვაძლევს კულაშის საზოგადოებას გულ-ცივობა შევსწამოთ ქართულ გალობისადმი. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი, „თუ გული გულობს, ქადა ორის ხელით იჭმევაო,“ და ნუ თუ კულაშელებს არ შეეძლოთ კონცერტს დასწრებოდნენ მაშინ, როდესაც ცუდმა ტაროსმა ვერ შეაშინა ჯიხაიშიდგან და ჭყვანიდგან მოსულნი, რომელნიც შეადგენდნენ დამსწრეთა უმეტესობას? კონცერტის შემდეგ, ბ-ნ ქორიძისა და საზოგადოების თხოვნით, წულუკიძის ასულმა, კნეინა მიქელაძისამ სთქვა რამდენიმე ქართული სიმღერა, რომელმაც საზოგადოება დაატკბო და თვით ჩვენი ნიჭიერი არტისტი ბ-ნი ქორიძეც აღტაცებაში მოიყვანა.

ქუთათური დათიკო.

## უცხოეთი

**ბოლგარია.** მთავრის ამორჩევის საქმე იმავე მდგომარეობაშია, რა მდგომარეობაშიაც დღემდის იყო. საქმე ის არის, რომ ნამდვილად არ იციან, ცნობილ იქმნება თუ არა პრინცი კობურგისა ბოლგარიის მთავრად, გაჰბედავს თუ არა იგი ბოლგარიაში წასვლასა. ამბობენ, ვითომც მთავრის არჩევის საქმეში გერმანია რუსეთის მხარეს დაიჭერსო; გერმანიას ვითომ სურვილი აქვს რუსეთის მეგობრობა ისევ მოიპოვოს, მაგრამ ზოგიერთ რუსეთის გაზეთებს საეჭვოდ მიაჩნიათ გერმანიის სურვილი და მეგობრობაც.

ეხლა ბევრსა ლაპარაკობენ კობურგის ვინაობაზე და გასაკვირველიც არ არის, რადგანაც პრინცის ვინაობას დიდი მნიშვნელობა ექმნება ბოლგარიის რთულს საქმეში.

აი, შემდეგი ცნობები პრინცის შესახებ: პრინცი ოც-და-ექვსის წლისაა; ჯერ კიდევ როცა ბავშვი იყო, ბევრი გაუგონია ავსტრიასა და პრუსიის შორის სასტიკ ბრძოლის შესახებ,—შემდეგ მოესწრო ომსა გერმანიასა და საფრანგეთს შუა. პრინცი, მისი ძმები და დები რიგიანად და საფუძვლიანად აღზრდილნი არიან; იგი დედით ლუი-ფილიპეს შვილი-შვილია და ამიტომაც სახით მოგვაგონებს ორლეანთა გვარს; პრინცი ქერა კაცია, შუა ტანისა და მსახურებდა ავსტრიის გუსარის რაზმში. პრინცი ენათესავება მრავალ სამეფო სახლობას, მაგალითად, ინგლისისას, პორტუგალიისას, ბრაზილიისას და იტალიისას. პრინცი ძალიან ბეჯითად სწავლობს ყველა იმ საგნებს, რომლებსაც კავშირი აქვთ პოლიტიკურ ეკონომიასთან და მეურნეობასთან. გარდა ამისა არც ბუნების მეცნიერებას სტოვებს უყურადღებოდ. 1883-ს წელს პრინცი სხვა მოპატიჟებულ პრინცთა შორის დაესწრო რუსეთში ხელმწიფე იმპერატორის დაგვირგვინებას.

**საფრანგეთი.** პარიჟში იმ სასტუმროს წინ, რომელშიაც ბულანჟე იდგა, შეიკრიბა რამდენიმე ათასი კაცი და ელოდებოდა ბულანჟეს წასვლას; ხალხი იმღეროდა სხვა-და-სხვა ბულანჟესათვის საპატიო სიმღერებს და იძახოდა: „გაუმარჯოს ბულანჟეს“. ლიონის ბაქანზედაც ბევრი ხალხი მოგროვდა და იყიდებოდა ბულანჟეს სურათები, მედალიონები და ლექსები, რომლებსაც დართული ჰქონდა შემდეგი სიტყვები: „აუცილებლად საჭიროა ბულანჟეს დაბრუნება“-ო. ცოტას ხანში ხალხი ათი ათას კაცამდე მოგროვდა და გაისმა ძახილი: „ბულანჟე ვერ წავა, ბულანჟეს გაუმარჯოს“. ეტლში ბულანჟეს ჩაუსხდა 12 კაცი, რომლებიც ნებას არ აძლევდნენ ჩამომხდარიყო. როგორც იყო პოლიციელებმა გზა გაუკაფეს, ხალხი ვაგონებში შევიდა, რათა ბულანჟე მოეტაცნათ; დერულედიც მოვიდა და იმასაც აღტაცებით მიეგებნენ. რკინის გზის მატარებელი ვერ დაიძრა, რადგანაც იქაურობა ხალხით იყო გაჭედილი. ბოლოს მოვიდა პოლიციის პრეფექტი, მაგრამ ვერა გასდა-რა, რადგანაც ათი ათასი კაცი, სხვა-და-სხვა ნაირად შეიარაღებული, გაწვა რელსებზე. როგორც იყო ბულანჟე წავიდა ლოკომოტივით, და მის წასვლას დაესწრო 50 ათას კაცამდე.

**ინგლისი.** ქვედა-პალატაში გლადსტონმა შეიტანა წინადადება იმის შესახებ, რომ უარ-ყოფილ იქმნეს კანონ-პროექტი, რომელიც მიმართულია ირლანდიის წინააღმდეგ-ო, და თვის მშვენიერს სიტყვაში საფუძვლიანად გაარჩია იგი კანონპროექტი.

## წვრილი ამბები

— მღვდელს მაკ-გლინნს ამას წინად მილვოკში სიტყვა წარმოუთქვამს და სხვათა შორის გამოუცხადებია: მე შევიტყე, რომ ჩემი ეკლესიიდგან გადაყენება უნდათ, მაგრამ მაინც ეს სასჯელი მე ვერ შემაშინებს და ჩემს აღრევე არჩეულს გზას ვერ ამახვევინებს. მე ყოველთვის კეთილი კათოლიკე ვიყავ და, ჩემის აზრით, პაპს ნება არა აქვს ეკლესიიდგან გადმაყენოს მხოლოდ იმის გამო, რომ პოლიტიკაში სხვა აზრს ვადგევარ. აქამდე მე ყოველსავე ჩემს მოვალეობას ისე ვასრულებდი, როგორც მოძღვარს შეეფერება, და ამიტომ დღეიდგანაც ისევე მოვიქცევი და ჩემს რწმუნებათა და აზრთა არ შევიცვლი, როგორც ჭეშმარიტი კათოლიკე და ამერიკის მოქალაქე“.

— ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, რომ საფრანგეთს განზრახვა ჰქონდა გამოფენა გაემართა 1889 წ., ხოლო ყველა დიდთა და წვრილთა სახელმწიფოთ უარი გამოაცხადეს, მონაწილეობას არ მივიღებთო. ეხლა ბელგიის მთავრობას განუზრახავს გამოფენის გამართვა 1888 წელს ბრიუსელში, მაგრამ იმ შიშით, ვაი თუ საფრანგეთმა სამაგიერო გადაიხადოს და უარი გამოაცხადოს მონაწილეობის მიღებაზედაო, არც ერთის დიდ და პატარა სახელმწიფოსათვის არ მიუწერია, გამოფენაში მონაწილეობა მიიღეო.

— ინგლისის საზოგადოებათა პალატაში 11 ივნისსში დიდი ბაასი და ლაპარაკი აუტეხნია ერთს ამბავს. შინაგანთა საქმეთა მინისტრას სერ ჰენრიხ მატიუსისათვის უკითხავთ: რად დაპატიმრეს ერთი პატიოსანის ოჯახის ახალ-გაზდა ქალი, მისს კასსი, რომელსაც პოლიცია სიცრუით აბრალებს, რომ ვითომ გაშვილ ხალხს ცუდის და არა-საკადრისის სიტყვებით ელაპარაკებოდაო. ამავე საქმის გამო ჩემბერლენსა და ჩერჩილს გაუკიცხავთ მატიუსი და ამ ამბავს დიდი აღიაქოთი აუტეხნია პალატაში. ბოლოს გადაუწყვეტიათ, რომ გამოძიება იქმნეს ამ საქმის გამო დანიშნული და უნდა გკითხოთ იმ პოლიციელთაც, რომელთაც ეს ქალი დაუპატიმრებიათ და მოსამართლე ნიუტონსაც, რომელსაც განუხილავს ქალის დაპატიმრების საქმეო. თუმცა ასე დაუბოლოვებიათ საქმე, მაინც ამბობენ თურმე, რომ შინაგანთა საქმეთა მინისტრი იძულებულ იქნება სამსახურიდგან გადადგესო.

— ამერიკაში ძალიან მატულობს მცხოვრებელთა რიცხვი ამ უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში: მაგალითებრ, 1775 წ. ამერიკაში სულ 3 მილიონი მცხოვრებელი იყო და 1875 წ.-კი 50 მილიონს აღემატებოდა. ამავე წლიდგან მარტო სხვა სახელმწიფოდგან გადასახლებულა 5 მილიონი კაცი. თუ ამ ამერიკის მცხოვრებელთ რამე უბედურება არ დაემართათ, ამ საუკუნის დასასრულს 100 მილიონამდე იმატებს ამ ქვეყნის მცხოვრებელთა რიცხვი.

## გასართობი

**ხმალში გასვლა არტისტთა შორის.** ერთი პარიჟის გაზეთი შემდეგს სასაცილო ამბავს გვიამბობს ერთს ხმლით ბრძოლაზედ. ერთს დროს ვილაც დეზესსერი, ძალიან ხორციანი და სქელი კაცი, არტისტადა ყოფილა „Comédie Française“-ს თეატრში; დეზესსერს თურმე ყველანი თავის სისუქნისა და სისქელის გამო სპილოს ეძახდნენ. ამ დროს სახელმწიფო სამხეცოში ერთი ნამდვილი სპილო გარდაცვლილა და აი მეორე არტისტს, დიუგაზონს, საშინელს ხუმარას, დაუბარებია თავისთან დეზესსერი და უთქვამს: „მინისტრმა მთხოვა ერთი პატარა პიესის წარმოდგენა და შენცა გთხოვ ამ პიესაში მონაწილეობის მიღებაო“.— რა როლი უნდა მომცეთო, უკითხავს სქელს არტისტს.—„შენ ერთის ბედნიერ მემკვიდრის როლი უნდა ითამაშოვო, უპასუხნია დიუგაზონს; ამიტომ შავი ტანისამოსი ჩაიცვი და ჟუნალა (კრეპი) გაიკეთე ხელზეო. დეზესსერი ვერ მიუხვდა თურმე ეშმაკობას და შეასრულა ამხანაგის თხოვნა. როცა ორივე არტისტები სცენაზედ გამოვიდნენ, დიუგაზონი წინ წადგა თურმე, მიუბრუნდა მინისტრს და სთქვა: „ბატონებო! „Comédie Française“-ს თეატრი დიდად შეწუხდა იმის გამო, რომ ლამაზი სპილო გარდაიცვალა სახელმწიფო სამხეცოში. ნება მომეცით ჩვენის თეატრის სახელით გთხოვოთ ბ-ნს მინისტრს, რომ ცხონებულის სპილოს მაგიერ ჩვენი უგულითადესი და საყვარელი მეგობარი დავნიშნოთო“. საზოგადოებას, რასაკვირველია, ამ სიტყვაზედ ხარხარი დაუწყვია და საერთო მხიარულებას უფრო უმატნია მაშინ, როცა დეზესსერის გადავრებული და მრისხანე სახე დაუნახამთ, რომელიც გაბრაზებული ატრიალებდა თურმე თვალებს. წარმოდგენის შემდეგ შეურაცხყოფილს არტისტს ხმალში გაუწვევია შეურაცხმყოფელი ამხანაგი და ორივენი ბულონის ტყეში წასულან. როცა მებრძოლნი ერთმანეთს დაჰპირისპირებიან, დიუგაზონი მისულა ნაღვლიანის სახით დეზესსერსთან და უთქვამს: „შენ ძალიან სქელი ხარ და ადვილად მოგახვედრებ ხმალს სადაც იქნება, მე-კი გამხდარი ვარ, ძვალ-ტყავა და შეიძლება ადვილად ამაცდინო. ეს უსამართლობაა. ნება მომეც ისე მოვახერხო, რომ სიმართლე აღვადგინოვო“. ამოუღია ჯიბიდგან ცარცი და შემოუხაზავს დეზესსერის სქელს მუცელზედ, პატარა წრე გაუკეთებია და დაუმატებია: „თუ ამ წრეს გარედ მოგახვედრე ხმალი, ნუ იყაბულებო“. ამის შემდეგ, რასაკვირველია, მებრძოლნი შერიგებულან და ხმლით ბრძოლის მაგიერ სავსები ჭიქები გადაუკრამთ.

**

**უკანასკნელი სურვილი გარდაცვალებულისა.** პარიჟში, ვენსენის ბაღში, ყარაულებს ერთი კედელზე აყუდებულის ვაჟ-კაცის გვამი უპოვნიათ. თვით-მკვლელს მარჯვენა ხელში დამბაჩა სჭერია და მარცხენაში-კი მინდვრის ყვავილებისაგან შეკრული თაიგული. ამ თაიგულში პატარა ბარათი დებულა და აი შიგ რა წერებულა: „ვიდრე სულს დავლევდე, ლუიზა, მინდვრის ყვავილები დავკრიბე და შევკარ თაიგულად შენთვის. ამ თაიგულს ხელიდგან არ გავუშვებ იმ დრომდე, ვიდრე დამბაჩა თავის მოვალეობას არ აღასრულებს. ამ გაზაფხულის ყვავილებს ვაბარებ ჩემს უკანასკნელს მოკითხვას, ცრემლებს, კოცნას იმ დრომდე, ვიდრე იმ ქვეყანას გადავსახლდები. ჩემი ერთად-ერთი და უკანასკნელი სურვილი ის არის, რომ ეს თაიგული და დამბაჩა შენ გამოგიგზავნონ. შეინახე და მომიგონებდე ხოლმე. ქ-ნს ლუიზას... პარიჟში.“ პოლიციას აუსრულებია გარდაცვალებულის უკანასკნელი სურვილი და დამბაჩა და თაიგული ბარათითურთ წარუგზავნია დანიშნულებისამებრ. ბოლოს საცოდავის თვით-მკვლელის ვინაობაც შეუტყვიათ.

## დეპეშა

3 ივლისი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია შემდეგი ცვლილება კანონებში: იმ ებრაელთ, რომლებიც მოსამსახურედ ქრისტიანებსა იჭერენ ხოლმე, აღეკრძალებათ წინააღმდეგობა აღმოუჩინონ თავიანთ მოსამსახურეებს, თუ ესენი ისურვებენ საკვირაო, სადღესასწაულო დღეების უქმობას და სარწმუნოებრივ წესების შესრულებას. ებრაელეთ, თუ ვინიცობაა არ შეასრულებენ ახალს კანონს, ჯარიმა გამოერთმევათ ხუთ თუმნამდე.

სახელმწიფო რჩევამ დაადგინა: სააქციონერო საზოგადოებანი, წილობით ამხანაგობანი, საადგილმამულო ბანკები, მესესხებელთა საურთიერთო თავმდებობაზე აგებულნი, მათ შორის სააზნაურო საზოგადოებათაგან დაარსებულნი საქალაქო საკრედიტო დაწესებულებანი, საზოგადო ბანკები და საურთიერთო ნდობის საზოგადოებანი, რომელნიც ვალდებულნი არიან იქონიონ პირველის გილდიის მოწმობანი, 1888 წლიდგან იხდიან დამატებითს გადასახადს ხაზინის სასარგებლოდ 635 მანათამდე. მოწმობათ და ბილეთებს წვრილმან ვაჭრობისათვის, სამრეწველო მოწმობათა და აგრეთვე მოწმობათა სატარებელ ვაჭრობაზედ დაედება დამატებითი გადასახადი 10%-მდე. მომატებულია აგრეთვე გადასახადი საზღვარგარეთის პასპორტებზე ათ მანათამდე ყოველს ნახევარს წელიწადში თვითეულს პასპორტებზე.

**პარიჟი.** გუშინდელ აღლუმის დროს დიდს უწესოებას მოელოდნენ, მაგრამ მშვიდობიანად ჩაიარა. თუმცა გრევის მოსვლის დროს დაიძახეს—„გაუმარჯოს ბულანჟესაო“ და სტვენა ასტეხეს, მაგრამ ამ გვარმა დემონსტრაციამ, რომელიც როშფორის მომხრეთ გამართეს, გამოიწვია კონტრ-დემონსტრაცია, რომელზედაც იძახოდნენ: „გაუმარჯოს გრევისაო“. ჯარების დახედვა ჩვეულებრივის წესით მოხდა და არც არაფერი უსიამოვნება მომხდარა-რა. ამის შემდეგ ბულანჟეს მომხრეთ მოიწადინეს პარიჟისკენ მიმავალი ეტლები დაეყენებინათ და მათში მჯდომ ხალხისათვის დაეძახებინათ: „გაუმარჯოს ბულანჟესაო“, მაგრამ პოლიციამ გაფანტა ხალხი და რამდენიმე კაცი დააპატიმრა.

საფრანგეთის დეპარტამენტებში საერო დღესასწაულებას არავითარიმე მანიფესტაცია არ გამოუწვევია მთავრობის წინააღმდეგ.

**ესსენი.** ცნობილი იარაღების მექარხნე კრუპპი გარდაიცვალა.

**ვენა.** დღეს შუადღისას ბოლგარიის დეპუტატები ებენტალში წავიდნენ მთავრობამ ნება დარ-

თო, რომ ყოველ გვარი ცხენები გაიყვანონ სამზღვარ-გარედ.

**ბომბეი.** გუსნის ჩრდილოეთის მხრის ჯარებსა და მეამბოხეთა შორის შეტაკება მოხდა. ემირის ჯარებმა გაიმარჯვეს და 160 ტყვე და 200 მოჭრილი თავი მტერთა ქაბულში გაგზავნეს.

4 ივლისი

**ცარსკოე სელო.** დღეს ჩქარის მატარებლით მობძანდა ალექსანდროვის სადგურზე საბერძნეთის მეფის მეუღლე და აქედგან ეტლით პირ-და-პირ პავლოვსკში გაემგზავრა.

**ორენბურგი.** ორენბურგზე გაიარა და ყირგიზების ქვეყანაში გაემგზავრა საარქეოლოგიო ექსპედიცია, რომელსაც ნეფედიევი ჰყავს მოთავედ.

**ვენა.** გაზეთები გვაუწყებენ: პრინცი კობურგისა ამ დღეებში იშლში მიდის ავსტრიის იმპერატორთან და მერე აქედამ პეტერბურგში წავაო.

5 ივლისი

**პეტერბურგი.** სიმბირსკის სააზნაურო ბანკის განყოფილება ამას იქით ნიჟეგოროდის გუბერნიის მამულებსაც დაიგირავებს.

„Новости“ გვაუწყებს, რომ საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს ამას იქით მიიღოს გიმნაზიაში და პროგიმნაზიაში მხოლოდ ის ყმაწვილები, რომელნიც კეთილ-საიმედო კაცების მზრუნველობის ქვეშ იქნებიანო. სწავლის ფასს წელიწადში ოთხს თუმანს გახდიან იმ გიმნაზიებში და პროგიმნაზიებში, სადაც ამაზედ ნაკლებია.

**სოფია.** დიდის საერო კრების სხდომა უვადოდ იქმნა გადადებულ.

**სტამბოლი.** დრუმონდ ვოლფი ლონდონში წავიდა.

**პარიჟი.** ბულანჟეს დეპუტატ ლორისათვის მიუწერია: „მე ჩემის თავის მადლიერი ვარ, რადგან ვგრძნობ, რომ მეც იმ კაცთა რიცხვში ვითვლები, რომელნიც სცდილობენ საფრანგეთს პატივისცემა მოუპოვონ და რომელთაც თავიანთ სამშობლოს კეთილ-დღეობა ურჩევნიათ სხვა-და-სხვა დასების ხრიკებსა. ჩემი ერთად ერთი განზრახვა და სურვილი ის არის, უოველივე ღონის-ძიება ვიხმარო, რომ ფრანგებს თავი მაღლა და ამაყად ეჭიროთ, რადგანაც მარტო ამ გვარი მოქმედება შეჰშვენის საფრანგეთის ერსაო“.

**პეტერბურგის ბირჟა, 3-ს ივნისს**

**ფასები:**

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — » | — » | 9 34 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 181¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — » | — » | 1 29 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . . | 262 | — » | — » |
| — მეორისა . . . . . | 252 » | — » | — » |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — » | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | — » | — » |
| ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . , . | — » | — » | — » |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქრონიკონი—ული=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქრონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2?76 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

**მკათათვე 31 დღით არის**

7 **დღე სამშაბათი.** ღირსისა თომასი და აკაკისა. კათოლ. აპოლონიასი, კლავდიასი და პულხერიასი. მუსულ. მე-29 რიცხვი თთვისა შევალისა, 1304 წ. ჰიჯრისა-ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—41, ჩადის 7—31. მთვარე 29 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 ივლისიდამ 1 თიბათვემდე.

| | | |
|---|---|---|
| ფუთარი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 3 | |
| » 2 » | 2½ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | » |
| » » 2— | 3½ | » |
| » » 3 » | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | 5 | » |
| 1-ლის ხარისხისა . . | 4 | » |
| მე-2 ხარისხისა . . | » | » |
| მე-3 — . . . | 7 | » |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 6 | » |
| » 2 » | 13 | » |
| სუკი. . . . | 8 | » |
| ცხვრის ხორცი . . . | » | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | » | » |
| » 2 » | » | » |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩ ში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—ამის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუსეთის-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის საგზნტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ აჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის ხანსვლის საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მიდის საათ. | მიდის წამ. | გადის საათ. | გადის წამ. | სტანციები | მიდის საათ. | მიდის წამ. | გადის საათ. | გადის წამ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 8 | 49 | **ბათუმი** . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 1[illegible] | 2 |
| კასპი. . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| **გორი** . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 8 | 12 | 11 | **სამტრედია** | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| **ხაშური** . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 3 | **ყვირილა** . | 1 | 58 | 2 | 10 |
| **ბეჟათუბანი.** | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | **ბეჟათუბანი** | 4 | 18 | 4 | 37 |
| **ყვირილა.** . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| **რიონი.** . . | 6 | 29 | 6 | 44 | **ხაშური** . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| **სამტრედია** . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 5 | 8 | 7 | **გორი** . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი. . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა. . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| **ბათუმი** . . | 11 | 13 | — | — | **ტფილისი** . | 10 | 15 | 10 | 46 |

**ქუთაისიდამ** გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

**რიონიდამ** ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| სტანციები | მიდის საათ. | მიდის წამ. | გადის საათ. | გადის წამ. | სტანციები | მიდის საათ. | მიდის წამ. | გადის საათ. | გადის წამ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღისით | | | | | ღამით | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | **ხაშური** . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | **გორი** . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| **გორი** . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი. . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| **ხაშური** . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | **ტფილისი** . | 8 | 24 | — | — |

## კერძო განცხადებანი


ქართული სასულიერო წიგნთ-საკითხავი კაბინეთი გადავიდა ბაზრის ქუჩაზე, თამამშოვის სახლში №11, სახელოსნო გამგეობის პირდაპირ.

ისყიდება

წიგნის მაღაზიაში: **ტფილისში** ჩარკვიანთან, სემინარიის პირ-დაპირ, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე და გრიქუროვთან, ალექსანდრეს ბაღის პირ-და-პირ, კუკიის ხიდისყურთან, **ქუთაისში** ჭილაძესთან.

ამ ახლო ხანებში დაბეჭდილი წიგნი (მხოლოდ 200)

**დასტურლამალი**

მეფის ვახტანგ მეექვსისა

გამოცემული პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით. ტფილისს 1886 წ.

ფასი 1 მან. 25 კაპ.

ტფილისს და ქუთაისს გარეშე ადგილებიდამ მსურველთ შეუძლიანთ პირ-და-პირ თვით გამომცემელისაგან დაიბარონ მოხსენებულ ფასად გასა, გზავნის ხარჯის დაუმატებლად ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Петру Іосифовичу Умикову. Около Анчисхатской церкви въ д. Гвиніевой.

**სათეატრო განცხადება**

ამ წლის ოქტომბრის თთვის დამლევიდამ დაიწყობა ქართული წარმოდგენები ბ-ნ ფორკატის ანტრეპრენიორობით ახლად აშენებულს ბანკის თეატრში და ამიტომ ვსთხოვთ დასში შესვლის მსურველთ როგორც ძველთა, აგრეთვე ახალთა, რომ თავის თხოვნით მოგვმართონ ამ ადრესით: ვერა, მოსკოვის ქუჩა, პავლოვის სახლებში, მე-7 №-რი.

რწმუნებული ბ-ნ ფორკატისა
(10—8) გ. აბაშიძე

შემთხვევით იყიდება

**საყმაწვილო წიგნი**

**შალვას თავ-გადასავალი**

ა. ცახელისა

300 ეგზემპლიარი ერთად 35 მან. ნაღდს ფულზედ. თითო წიგნი ღირს 20 კაპ. მსურველს შეუძლიან მიჰმართოს ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, გრ. ტატიშვილს. (3—3)

**ინსპექტორი ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლისა**

აცხადებს, რომ მომავალის 18⅞ სასწავლებო წლისათვის სკოლაში არის სულ 64 ვაკანსია. ამათგან 27 ვაკანსია არის მოსამზადებელის კლასის პირველს განყოფილებაში, რომელშიაც მიღებულ იქმნებიან უეგზამენოდ 7 და 8 წლის ყმაწვილები, და 37 პროგიმნაზიულს კლასებში: 7 პირველში, 10 მეორეში, 10 მესამეში და 10-იც მეოთხეში. მოსამზადებელის კლასის მეორე, მესამე და მეოთხე განყოფილებაში არ არის თავისუფალი ადგილი და ამ განყოფილებაში წელს მოსწავლეთა მიღება შეუძლებელია.

პანსიონში **თვრამეტი** (18) ვაკანსია არის თავისუფალი. ამათგან **სამი** საზოგადოების სრულს ხარჯზე და **თხუთმეტი** საზოგადოების ნახევარს ხარჯზე. ამ სამის ვაკანსიიდგან ერთი ეკუთვნის სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა, მეორე ტფილისისას და თელავისას და მესამე გორისას და დუშეთისას. იმას, ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქმნება მიღებული, არაფერი არ გადახდება. ნახევარ ხარჯზე მიღებულ იქმნებიან მოსწავლენი ტფილისის გუბერნიის ყველა მაზრებიდგან და თითოეული იმათგანი ვალდებული იქმნება შემოიტანოს წელიწადში **ათი თუმანი**, რომლის ნახევარი უნდა წარმოადგინოს პანსიონში შესვლისათანავე და მეორე ნახევარი იანვარში.

გარედამ მოსიარულე მოსწავლეთ გადახდებათ სწავლის ფასი წელიწადში **თორმეტი მანათი**, ნახევარი სექტემბერში და მეორე ნახევარი იანვარში.

ვისაც ჰსურს შვილის მობარება გარედამ მოსიარულეთ ან პანსიონში, მომავალის მარიამობისთთვის 25-ს რიცხვამდე უნდა შემოიტანოს თხოვნა და თან მოწმობანიც უნდა წარმოადგინოს: ა) წლოვანობის მოწმობა, ბ) თავად-აზნაურობისა, გ) ყვავილის აცრისა და დ) სიღარიბისა. უკანასკნელი საჭიროა მათთვის, ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს, ან ნახევარს ხარჯზე.

ვინც სრულად არ წარმოადგენს სწავლის ფასს ან პანსიონის ფულს თანახმად ზემორე თქმულის წესისა, იგი მიღებულ არ იქმნება სასწავლებელში.

უკეთუ მშობელნი და მზრუნველნი ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლეთა თვითონ ტფილისში არა ჰსცხოვრობენ მუდამ, მაშინ ისინი ვალდებულნი არიან წარმოუდგინონ ინსპექტორს თავდებად კეთილსაიმედო პირი ტფილისში მცხოვრებთაგანი, რომელმაც უნდა იკისროს ყმაწვილის მშობლებისა და მზრუნველების მაგიერობა იმ შემთხვევაში, როცა ამას საჭიროება მოითხოვს; უამისოდ არც პანსიონში შეიძლება ყმაწვილის მიღება და არც გარედამ მოსიარულეთ მიეცემათ ნება სასწავლებელში სიარულისა. (3—3)

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში: გრ. ჩარკვიანისა და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, გორში—თვით ავტორთან და ქუთაისში—ჭილაძის მაღაზიაში

**ორი მოთხრობა**

ს. მგალობლიშვილისა

I **მცვრევაზე**

II **დიდ ზალაში**

**ფასი ორი შაური.**


Дозв. цен. Тиф. 6 іюля, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე